ხელშეკრულება №17

ქ. ბათუმი 20 იანვარი 2016 წელი

. ერთის მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი საფინანსო სამსახურის უფროსის მერაბ ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" (შემდგომში "შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ფეიქრიშვილის სახით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3[1] პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებას. CPV 702 200 00

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „შემსრულებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით გამართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციისადმი მიძღვნილი ოფიციალური ღონისძიებისათვის დღის 17სთ-დან 20სთ-მდე დარბაზების დაქირავების სახელმწიფო შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1663,80 (ერთიათას ექვსას სამოცდასამი ლარი და 80 თეთრი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საბიუჯეტო სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესახებ სასაქონლო ზედნადების/ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

5.1. მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე", მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N6.
5.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 21 თებერვალი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა)უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია:
ა)მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. შემსრულებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე გაწეული მომსახურენის ხარისხის (ფასის) კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების გაზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსრულებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველის რეკვიზიტები:

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 8-10
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
ტელეფონის ნომერი: 27 66 49

საფინანსო სამსახურის უფროსი: მერაბ ჯოჯუა

შემსრულებლის რეკვიზიტები:

იურიდიული ფორმა და დასახელება: სააპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი №6.
საიდენტიფიკაციო კოდი: 404 494 980
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 743 277 019
ტელეფონის ნომერი: 599 89 87 07; 599 89 97 81

სააპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის"
დირექტორი: ქეთევან ფეიქრიშვილი